ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული
ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის

ზურაბ ჩიკვილაძის

2024-2025 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ, 2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ჩუღურეთის რაიონი), ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2024 წლის ნოემბრიდან დღემდე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 13 კომისიის სხდომის ჩატარებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 50 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

დედაქალაქის მასშტაბით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებით თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება 39 პროგრამა/ქვეპროგრამა. არსებული მუნიციპალური პროგრამები მზარდი ბიუჯეტით მოქალაქეებზეა მორგებული. თბილისის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს გატარებულმა სიახლეებმა ჩვენი თანამოქალაქეები და მათი ოჯახები მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთისგან გაათავისუფლა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება. მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ.

შესწავლილი საკითხები:

2024 წლის 19 ნოემბერი

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის წლის ბიუჯეტის შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ვიმსჯელეთ, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 826 308,6 ათას ლარს. მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 539 257,4 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 145 645,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 187 200,1 ათასი ლარი, პროცენტი 40 340,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 723 680,4 ათასი ლარი, გრანტები 1 434,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 155 145,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 285 811,4 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ თბილისის მერს რეკომენდაციით დაუბრუნდა.

1. ჯანმრთელობის დაცვის (კოდი: 06 01) ქვეპროგრამებს დაემატოს რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო ბიოლოგიური პრეპარატების დაფინანსების ქვეპროგრამა, ფინანსური ჭერის შესაძლებლობების შესაბამისად.
2. დაავადებათა სკრინინგი ((კოდი: 06 01 02))

ქვეპროგრამის მიზანია სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდის გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება. ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქ.თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის კიბოს, პროსტატის კიბოს, კოლორექტული კიბოს და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგული გამოკვლევების დაფინანსებას.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში, მაღალი რისკის მქონე პოპულაციებისთვის ფილტვის კიბოს ადრეულ ეტაპებზე გამოსავლენად, გამოკვლევებს დაემატოს ფილტვის კიბოს სკრინინგი.

2024 წლის 22 ნოემბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები წარადგინა, ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 2024 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში გაიზარდა ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად შემცირდა მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების

ნაწილში გაიზარდა საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში შემცირდა სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 23 აგვისტოს N24.1463.1654 განკარგულებით ჩამოიწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე ამორტიზირებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემული სესხები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად გაიზარდა 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

2024 წლის 20 დეკემბერი

საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე ვიმსჯელეთ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/89332) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 81 693,2 ათასი ლარით (მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 66 693,2 ათასი ლარით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 80 000,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები მცირდება - 4 823,8 ათასი ლარის ოდენობით.

გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 165 575,2 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარი;

- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი;
- განათლება - 261 539,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარი.
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 983 178,0 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით, მათ შორის:

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია 165 575,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (154 920,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 655,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (164 975,2 ათასი ლარი) მიმართებაში - 600,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის იზრდება დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია რაიონებში (დიდუბე, ნაძალადევი)- 255,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში - 345,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (567 498,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 118 417,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (631 765,7 ათასი ლარი) მიმართებაში - 54 150,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: რაიონების გზების მოვლაშეკეთების ქვეპროგრამების ასიგნებები ჯამში იზრდება - 8 150,0 ათასი ლარით, ხოლო გზების მშენებლობა და აღდგენა ქვეპროგრამის ასიგნებები - 46 000,0 ათასი ლარით (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძე - ბაგების გზა);
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (267 969,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 21 474,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (209 514,6 ათასი ლარი) მიმართებაში - 36 980,7 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 8 700,0 ათასი ლარი (ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე საავტომობილო გზის გასწვრივ ფერდის გამაგრების სამუშაოები); გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 5 000,0 ათასი ლარი (კოსტავას ქუჩის ნაწილზე და რუსთაველის გამზირზე, ჩოლოყაშვილისა და წერეთლის ქუჩებზე გარე განათების მოწყობა), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 16 280,7 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 7 000,0 ათასი ლარი (ჭადრაკის სასახლის ფასადის რეაბილიტაცია);

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (221 611,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 41 509,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (223 195,4 ათასი ლარი) მიმართებაში - 39 925,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია (მათ შორის რუსთაველის გამზირის გამწვანება) - 20 500,0 ათასი ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის მიწისქვეშა) შეძენა - 11 000,0 ათასი ლარი, შპს თბილსერვის ჯგუფისათვის ბელიაშვილის ქუჩაზე საწყობის მშენებლობა - 1 000,0 ათასი ლარი
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 47 491,3 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (38 796,3 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 695,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (38 296,3 ათასი ლარი) მიმართებაში - 9 195,0 ათასი ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია 165 575,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (154 920,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 655,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (164 975,2 ათასი ლარი) მიმართებაში - 600,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის იზრდება დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია რაიონებში (დიდუბე, ნაძალადევი)- 255,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში - 345,0 ათასი ლარით;
- განათლება დაიგეგმა - 261 539,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492,8 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (35 534,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 759,3 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (32 444,0 ათასი ლარი) მიმართებაში 6 850,0 ათასი ლარით მეტია, მათ შორის ვერის კორტების რეაბილიტაცია - 2 500,0 ათასი ლარი, ვარკეთილში მდებარე „ედელვაისის“ მოედნის რეაბილიტაცია - 4 000,0 ათასი ლარი, ხოლო კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (გლდანი, სამგორი) - 350,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (7 297,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 482,2 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (7 779,2 ათასი ლარი) მიმართებაში 8

000,0 ათასი ლარით მეტია, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2 000,0 ათასი ლარით, ხოლო ცხოველთა მონიტორინგი (მათ შორის გლდანის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა) - 6 000,0 ათასი ლარით;

- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (219 527,4 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 35 359,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (253 718,8 ათასი ლარი) მიმართებაში 1 168,2 ათასი ლარით მეტია, რაც მიიმართება დიდუბის, ჩუღურეთის და სამგორის ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოებისათვის.

2024 წლის 20 დეკემბერი

საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების შესახებ ვიმსჯელეთ.

წარმოდგენილი პროექტების მიზანია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ადმინისტრირებადი ქვეპროგრამების განსახორიელებლად საჭირო წესების დამტკიცება და წლის განმავლობაში ქვპროგრამების შეუფერხებლად განხორციელეba.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) პროექტის თანახმად, მტკიცდება ქვემოთ ჩამოთვლილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები:

ა) „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1);

ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №2);

გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელებისწესი“ (დანართი №3);

დ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №4);

ე) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №5);

ვ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №6);

ზ) „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №7);

თ) „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №8).

ასევე, მიმდინარე სხდომაზე განვიხილეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. რომლის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობების და პროცედურების რეგულირება.

2025 წლის 27 იანვარი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილების პროექტების შესახებ ვიმსჯელეთ.
დადგენილების პროექტით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში კერძოდ, „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესში.

წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ფულადი დახმარება განსაზღვრულ იყო 1000 (ათასი) ლარის ოდენობა, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ფულადი დახმარება განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით.

2025 წლის 27 თებერვალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ახალი სოციალური ქვეპროგრამის "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ვიმსჯელეთ.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N 1/ნ ბრძანების გათვალისწინებით, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებენ მუნიციპალიტეტები. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისის მიწოდებას, ქვეპროგრამის სახით.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია პერსონალური ასისტენტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელსაყრელი პროექტების შექმნა, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

მიმდინარე სხდომაზე ასევე განვიხილეთ, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (2 085,7 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: გაიზარდა მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 600,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 4 თებერვლის N15-01250351692 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 685,7 ათასი ლარით და შეადგენს 2 195 548,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში

გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 983 778,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 211 770,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 778,0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის 21 მარტი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განვიხილეთ.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის № 50-99 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.
მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდებოდა არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ლიმიტი გაიზარდა 300 ერთეულით, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 2400 ბენეფიციარი.

მიმდინარე კომისიაზე ასევე, განვიხილეთ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, წესში მოცემულ ტერმინთა სრულყოფილად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ კონტროლის განხორციელების ფარგლებისა და საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დაზუსტება.

2025 წლის 15 აპრილი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. ვიმსჯელეთ.

2024 წელს ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 39,239.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,358.5 ათასი ლარის 99.7%-ი) ხოლო, სოციალური დაცვა დაფინანსებულია 128,957.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 130,127.7 ათასი ლარის 99.1%-ი).

2025 წლის 20 მაისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე სამი საკითხი განვიხილეთ.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები - 8 799,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 10 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 13 799,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 209 347,5 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

აქვე, განვიხილეთ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2025 წლის 19 ივნისი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე სამი საკითხი განვიხილეთ.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (45 650,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: ფაიზარდა მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 700,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 16 მაისის MOH 4 25 00543573 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 22 მაისის N15-01251422201 წერილი), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 800,0 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 62 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 271 497,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. **ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს დაემატა ახალი ქვეპროგრამა - რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 300,0 ათასი ოდენობით.**

,,რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებ“-ის ქვეპროგრამის ამოქმედება უკიდურესად მნიშვნელოვანია რევმატოიდული ართრიტით დაავადებული მოქალაქეებისთვის, დაავადების პროგრესირების შესაჩერებლად და პაციენტთა ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად.

რევმატოიდული ართრიტი ქრონიკული, პროგრესირებადი, ავტოიმუნური ანთებითი დაავადებაა, რომელიც სახსრების შეუქცევად დაზიანებას, დეფორმაციასა და ფუნქციური უნარის დაქვეითებას იწვევს. დაავადების შეუფერხებელი მიმდინარეობის შემთხვევაში მაღალია შშმ პირის სტატუსის შეძენის რისკი. თანამედროვე მედიკამენტური თერაპიის დროული დანიშვნა კი საშუალებას იძლევა დაავადების აქტიურობა შემცირდეს, დადგეს რემისია და პაციენტმა სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება შეძლოს. ახალი ქვეპროგრამის ფარგლებში, ამ დაავადების სამკურნალო აუცილებელი და ძვირად ღირებული მედიკამენტები დაფინანსდება. სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150,001-ს, უზრუნველყოფილია მედიკამენტების სრული, 100%-იანი დაფინანსება. დანარჩენი ბენეფიციარებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მედიკამენტების ღირებულების 80%-იან თანადაფინანსებას.

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მსგავსი სოციალური ინიციატივების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ჯანდაცვის სფეროს გაძლიერებისა და სოციალური მხარდაჭერის სისტემის განვითარებისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

2025 წლის 25 ივლისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ორი საკითხი განვიხი;ლეთ.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (10 400,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: გაიზარდა მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 48 711,4 ათასი ლარით (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის დაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივლისის MES 5 25 0000911750 წერილი), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობანაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 13 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან მიღებული შემოსავლები - 5 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 77 111,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 348 609,0 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

მიმდინარე კომისიაზე ასევე განვიხილეთ ახალი ქვეპროგრამის „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი: 06 01 10), წესი. რევმატოიდული ართრიტი აუტოიმუნური, ქრონიკული დაავადებაა, რომელიც იწვევს სახსრების პროგრესირებად, შეუქცევად დაზიანებას და ქმედუუნარობის განვითარებას. დაავადება უპირატესად ვლინდება 35-60 წლის ასაკში და პაციენტთა დაახლოებით ნახევარს დიაგნოზის დასმიდან 10 წელიწადში სრულიად ეკარგება შრომისუნარიანობა, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევას წარმოადგენს როგორც საზოგადოების, ისე ჯანდაცვის სისტემისთვის.

საერთაშორისო რეკომენდაციების (EULAR, ACR) თანახმად, მკურნალობა იწყება დაავადების მამოდიფიცირებელი ანტირევმატული საშუალებებით, თუმცა გარკვეული შემთხვევების დროს ეს თერაპია არ არის ეფექტიანი და პაციენტს აღენიშნება აუტანლობა. ასეთ შემთხვევაში, მოწოდებულია ბიოლოგიური მედიკამენტების ჩართვა მკურნალობის სქემაში, რაც ამცირებს დაავადების პროგრესირებას და აუმჯობესებს პაციენტის ფუნქციურ მდგომარეობას. „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტის დაფინანსების ქვეპროგრამა“ სწორედ ასეთი მედიკამენტის მიწოდებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირებისთვის.

წესში გაწერილია ზოგადი დებულებანი, ქვეპროგრამის მოსარგებლეების კრიტერიუმები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი და დაფინანსების მეთოდოლოგია, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, მიმწოდებელთან ანგარიშგება და ანაზღაურება, ქვეპროგრამის მიმდინარეობის შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

2025 წლის 19 აგვისტო

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე განვიხილეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილების პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

წარმოდგენილი პროექტის მიზანია, მედიკამენტ „ოკრელიზუმაბის“ კანქვეშა ფორმის დანერგვა და გაფანტული სკლეროზის მქონე პაცინტებისთვის მკურნალობის თანამედროვე ფორმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №7) მე-4 და მე-9 მუხლებში. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში დამატებით გაიწერა „ოკრელიზუმაბის“ კანქვეშა ფორმის შეყვანის პროცედურა, დოზირება, ვინაიდან, წესით გათვალისწინებულ „ოკრელიზუმაბის“ ინტრავენური ფორმას ემატება კანქვეშა ფორმაც და გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მკურნალობის თანამედროვე საშუალებაც. „ოკრელიზუმაბის“ კანქვეშა ფორმით მკურნალობის შედეგად, პაციენტი ნაკლებ დროს ატარებს კლინიკაში და ასევე იზოგება სამედიცინო პერსონალის რესურსიც. არსებულ საერთაშორისო მონაცემებზე დაყრდნობით, გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტს შეუძლია მიიღოს მკურნალობა „ოკრელიზუმაბის“ როგორც ინტრავენური, ასევე კანქვეშა ფორმით. ამასთან, ექიმისა და პაციეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით,

შესაძლებელია, უკვე მკურნალობის პროცესში მყოფ პაციენტს, მედიკამენტის ინტრავენური ფორმა შეეცვალოს კანქვეშა ფორმით. კლინიკური კვლევებით დადასტურებულია მედიკამენტის ინტრავენური და კანქვეშა ფორმების ეფექტურობის და უსაფრთხოების ერთნაირი პროფილი, კერძოდ, პრეპარატის ფორმის ცვლილება არ გამოიწვევს დადგენილი სქემის ცვლილებას. „ოკრელიზუმაბის“ კანქვეშა ფორმა არის დამატებითი შესაძლებლობა, იმისათვის რომ გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტმა შეძლოს სრულფასოვანი ცხოვრების წესის შენარჩუნება. ქვეპროგრამა კი სწორედ აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს. წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში გაიწერება პრეპარატის კანქვეშა ფორმით შეყვანის დოზირება, კერძოდ, „ოკრელიზუმაბი“ კანქვეშა ფორმა - საწყისი დოზა 920 მგ შეყვანილი უნდა იქნეს ერთ ინექციად , შემდგომი ინექციები - ყოველ 6 თვეში ერთხელ დოზით – 920 მგ.

2025 წლის 13 სექტემბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, ვომსჯელეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტის თაობაზე.

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, წესის გამართულად ჩამოყალიბება, რედაქციული თვალსაზრისით. ასევე, მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურის დეტალურად ჩამოყალიბება, კერძოდ, მიმწოდებელთა და მომლოდინეთა უფლება-მოვალეობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და განსაზღვრა წესში, რაც მეტად მოსახერხებელს გახდის ქვეპროგრამაში ჩართვის პროცესს, როგორც მომსახურების მაძიებელთათვის, ისე ქვეპროგრამის განმახორციელებლისა და მიმწოდებლისთვის.

სხვა აქტივობები

2024 წლის 14 ნოემბერი

თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით და საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირის ორგანიზებით დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში დიაბეტის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. დიაბეტის მსოფლიო დღე საქართველოში 1992 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება.

2024 წლის 28 ნოემბერი

შეხვედრა ტრაბზონის სავაჭრო და სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ერქუთ ჩელებთან.

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს, ვისაუბრეთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მნიშვნელობაზე, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით პროგრამებზე და პოლიტიკაზე.
შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ოქტომბრიდან ორ ქალაქს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა დაიწყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამედიცინო ტურიზმისათვის.
ასევე განვიხილეთ თანამშრომლობის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები.

2024 წლის 17 დეკემბერი

შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ქალაქ ცინდაოს ცენტრალური მუნიციპალური საავადმყოფოს დელეგაციის წევრებთან.

შეხვედრაზე თბილისსა და ცინდაოს შორის ურთიერთობების გაღრმავების და ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ.
თბილისის საკრებულოში გამართული შეხვედრის შემდეგ, ქალაქ ცინდაოს დელეგაციის წევრებთან ერთად ჩაჩავასა და ღუდუშაურის კლინიკებს ვეწვიეთ, სადაც აღნიშნული კლინიკების დამფუძნებელმა ელგუჯა გოცირიძემ გვიმასაპინძლა.
რამდენიმე თვის წინ, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობით, ღუდუშაურის კლინიკასა და ცინდაოს ცენტრალურ მუნიციპალურ საავადმყოფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
საქართველოსა და ჩინეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრობა დღემდე გრძელდება და ახლა ის სტრატეგიული პარტნიორობის რანგში კიდევ უფრო განვითარდება.

2024 წლის 20 დეკემბერი

შეხვედრა ტრაპიზონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჯანდაცვის და ტურიზმის პროექტების კოორდინატორთან მეჰმეტ იუჩინჯიოღლუსა და ბარიშ ჩუვალჩისთან.

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაზე და მუშაობის სპეციფიკაზე ვისაუბრეთ.
დეტალურად განვიხილეთ ჯანდაცვის, სოციალური და ტურიზმის
მიმართულებით არსებული მუნიციპალური პოლიტიკა და სამომავლო გეგმებზე და თანამშრომლობაზე შევთანხმდით.

2025 წლის 20 იანვარი

სამუშაო ვიზიტი ქალაქ ტრაპიზონში.

ვიზიტის ფარგლებში დავესწარი ჯანმრთელობის და სამედიცინო ტურიზმის ფორუმს.
გაიმართა საქმიანი შეხვედრა ქალაქ ტრაპიზონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარესთან ერქუთ ჩელებთან, რომელიც ამავდროულად იყო ქართული დელეგაციის მასპინძელი.
განხილულ იქნა თბილისსა და ტრაპიზონს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. მზადყოფნა გამოვთქვით ორმხრივი კავშირების გაღრმავებისათვის.
ფორუმის მუშაობის ფარგლებში ასევე, მოვინახულე ქალაქ ტრაპიზონის სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები.

2025 წლის 13 თებერვალი

ვიზიტი წმინდა მიქაელის სახელობის მრავალპროფილურ ჰოსპიტალში

შეხვედრა გაიმართა ჰოსპიტალის ხელმძღვანელობასთან, საუბარი ჯანდაცვის მიმართულებით დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ პროგრამებს შეეხო.
კლინიკის ხელმძღვანელმა პირებმა სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებაზე, იქ არსებულ სამედიცინო სერვისებზე ინფორმაცია მოგვაწოდეს და ჰოსპიტალის შენობა დაგვათვალიერებინეს.
წმინდა მიქაელის ჰოსპიტალში წარმატებით ხორციელდება, ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალური პროგრამები, რომელსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს. აღნიშნული პროგრამების ბიუჯეტი და სერვისებზე ხელმისაწვდომობა მზარდია და მოქალაქეებზეა მორგებული, მათი არსებობა კი ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობის გარანტიაა.

2025 წლის 14 თებერვალი

ვიზიტი ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრ „მზის შვილებში“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შალვა პაპუაშვილთან, პირველ ვიცე-სპიკეთან გიორგი ვოლსკისთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან, რიმა ბერაძესთან და ირმა ზავრადაშვილთან ერთად, ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრ „მზის შვილებს“ ვეწვიეთ.

დავათვალიერეთ განახლებული ცენტრის ინფრასტრუქტურა და ბენეფიციარებს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს - საჩუქრები გადავეცით.
დღის ცენტრში ორმოცდაათამდე სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვი გადის სასწავლო და სოციალური განვითარების პროგრამებს. ცენტრში შექმნილია ყველა საჭირო პირობა, რათა ბავშვებმა მიიღონ შესაბამისი განათლება და საჭირო მომსახურება.

2025 წლის 19 თებერვალი

ვიზიტი ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილესთან მელიქე ილმაზ ოსკიპერთან, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან ზეინეფ ბაირაქთან და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის დირექტორთან მარიამ ხანისთან ერთად ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალს ვეწვიეთ.
თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის ჩართულობით და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის დახმარებით ეროვნული სკრინინგ ცენტრის ოთხივე ფილიალი შშმ ქალბატონებისთვის განკუთვნილი ინვენტარით აღიჭურვა.
მადლობა გადავუხადე თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) გაწეული სამუშაოსთვის, აღნიშნული ინვენტარი სპეციალური საჭიროებების მქონე პაციენტებს სრულფასოვანი სერვისის მიღების საშუალებას მისცემს. ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი საუკეთესო პრევენცია და ჯანმრთელი ცხოვრების წინაპირობაა.

2025 წლის 20 თებერვალი

ვიზიტი „ევექსის“განახლებული სტრატეგიის წარდგენაზე

კომპანია „ევექსმა“განახლებული სტრატეგია წარადგინა, რომელიც პირველად ჯანდაცვაში, პრევენციული მედიცინის განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერას გულისხმობს. პირველად ჯანდაცვის საფეხურზე, მნიშვნელოვანია პრევენციული მედიცინის

ხელშეწყობა, რაც დროული დიაგნოსტიკისა და შესაბამისად, უფრო ეფექტური მკურნალობის შესაძლებლობას იძლევა.

2025 წლის 10 მარტი

ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სამსუნში

თბილისის მერის მოადგილესთან, ანდრია ბასილაიასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის უფროსთან, შალვა ოგბაიძესთან და თბილისის მერიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სამსუნს სამუშაო ვიზიტით ვეწვიეთ.
შეხვედრები გვქონდა სამსუნის გუბერნატორ ორჰან ტავლთან, ასევე, მეტროპოლიტენის მერთან, ჰალიტ დოღანთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქალაქებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულება, მათ შორის სოციალური, ჯანდაცვის სფეროები და ამ მიმართულებით არსებული პროგრამების მნიშვნელობას გაესვა ხაზი. აქვე, განხილულ იქნა ქ. თბილისსა და ქ. სამსუნს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების და ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი. ასევე, ვისაუბრეთ სხვადასხვა ურბანულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.
ვიზიტის ფარგლებში, კლინიკა „მედიქალ პარკს“ ვესტუმრეთ, დავათვალიერეთ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულება და გაიმართა შეხვედრა კლინიკის ხელმძღვანელობასთან.

2025 წლის 14 მარტი

შეხვედრა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარესთან მაია კვეზერელთან.

ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ახორციელებს სხვადასხვა პროექტს სამშვიდობო, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების სფეროში და ასევე ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთათვის ეტლების, გადასაადგილებელი ჩარჩოების, ხელჯოხების და ა.შ. გადაცემას. ვისაუბრეთ ურთიერთანამშრომლობაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე და ამ პროექტების სამომავლო გზებზე.

2025 წლის 18 მარტი

შეხვედრა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან ზეინეფ ბაირაქთან.

სამუშაო შეხვედრა გამართა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან ზეინეფ ბაირაქთან.
შეხვედრაზე ვისაუბრეთ ერთობლივად, წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე, განვიხილეთ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებული საჭიროებები, დაიგეგმა ახალი, საინტერესო პროექტების განხორციელება და შეხვედრები სხვადასხვა მიმართულებით, გამოითქვა მზადყოფნა შემდგომი თანამშრომლობისთვის.
ჩვენი ჩართულობით და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის დახმარებით არაერთი საჭირო და ძალიან კარგი პროექტი განხორციელდა.

2025 წლის 27 მარტი

ვიზიტი ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში“

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან, გელა ჩივიაშვილთან, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან, ზეინეფ ბაირაქთან ერთად ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“ ვეწვიეთ.

სტუმრებმა მუნიციპალური თავშესაფრის დირექტორთან, გოჩა მინდიაშვილთან, ერთად არსებული გარემო დაათვალიერეს და იქ მცხოვრებ ბენეფიციარებს შეხვდნენ. ვისაუბრეთ ბენეფიციართა ყოფის გაუმჯობესებისთვის საჭირო პროექტების განხორციელებასა და ამ მიმართულებით საერთაშორისო რესურსების გამოყენების შესახებ . შეხვედრაზე ასევე ერთობლივი პროექტების საკითხებზე შევთანხმდით.
„თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს თბილისის ოფისი ჩვენი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პარტნიორია, რომელმაც საქართველოში ბევრი საჭირო სოციალური პროექტი უკვე განახორციელა. გვაქვს სურვილი, რომ კიდევ ერთი სასარგებლო პროექტი მუნიციპალურ თავშესაფარში განხორციელდეს, რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ბენეფიციარებს.

2025 წლის 30 მარტი

ვიზიტი სამედიცინო ცენტრ, „პინეო სამედიცინო ეკოსისტემაში“

ექიმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს, „პინეო სამედიცინო ეკოსისტემას“ ვეწვიეთ.

პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელმა ზაზა სინაურიძემ და კლინიკურმა ხელმძღვანელმა გია თომაძემ სამედიცინო ცენტრი დაგვათვალიერებინა, რომლის ინფრასტრუქტურა

თანამედროვე სტანდარტებსაა მორგებული, აღჭურვილია ახალი სამედიცინო აპარატურით და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმებით არის დაკომპლექტებული.
შეხვედრისას მხარეებმა მოსახლეობაზე მორგებული ჯანდაცვის სისტემის გამართულად მუშაობის მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ და ხაზი გავუსვით, რომ აღნიშნული საკითხი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.
შევხვდი სამედიცინო პერსონალს და მათ ექიმების საერთაშორისო დღე მივულოცე.

2025 წლის 31 მარტი

სამუშაო შეხვედრა მინსკის „მესამე საქალაქო კლინიკის“ მთავარ ექიმთან/ხელმძღვანელთან ნატალია საევიჩთნ.

შეხვედრა გავმართეთ მინსკის „მესამე საქალაქო კლინიკის“ მთავარ ექიმთან/ხელმძღვანელთან ნატალია საევიჩთნ. შეხვედრისას განვიხილეთ ორივე ქვეყნის დედაქალაქში არსებული პროგრამები ჯანმრთელობის და სოციალური მიმართულებით.

2025 წლის 2 აპრილი

აუტიზმის საერთაშორისო დღე

აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „კამილიელთა სამედიცინო ცენტრს“ ვესტუმრეთ. ცენტრის დირექტორმა კობა კაბოსნიძემ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა იმ სერვისებზე, რომლებსაც ბენეფიციარები იღებენ. უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა იმ ბავშვებისა და მოზარდების მიმართ, რომლებიც აუტიზმის სპექტრის დარღვევის აბილიტაციის პროგრამაში არიან ჩართულნი. პროგრამით მოსარგებლეთა ლიმიტი გაზრდილია 300 ერთეულით, რაც ნიშნავს, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებას 2400 ბენეფიციარი იღებს. ჩვენ 11 სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ, რომლებშიც

ბენეფიციარები არიან გადანაწილებულნი. პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა კი საერთო ჯამში 11 მილიონ ლარზე მეტია.

დღეს არცერთი ბავშვი არ არის მომლოდინეთა სიაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელიც ძალიან ბევრს შრომობს იმისათვის, რათა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სერვისი მაღალი ხარისხით იყოს მიწოდებული.

2025 წლის 4 აპრილი

ვიზიტი ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრს „მზის შვილებში“ და თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) თბილისის ოფისის კოორდინატორთან ზეინეფ ბაირაქთან ერთად ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრს „მზის შვილებს“ და თბილისის 36-ე საჯარო სკოლას ვეწვიეთ.

ცენტრის დირექტორმა, ინგა ლოლაძემ გვიმასპინძლა. დაათვალიერებინა გარემო, სადაც ბენეფიციარები შესაბამის თერაპიებს გადიან, გაგვაცნო სასწავლო და სოციალური განვითარების პროგრამები და ცენტრის მუშაობის პრინციპზე მოგვითხრო.

ასევე, ზეინეფ ბაირაქთან ერთად თბილისის 36-ე საჯარო სკოლასა ვესტუმრეთ. სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ ახლად რეაბილიტირებული შენობა დაგვათვალიერებინა. შეხვედრის დასასრულს მომავალში მჭიდრო თანამშრომლობაზე შევთანხმდით.
თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს დახმარებით არაერთი კარგი საქმე გაკეთდა და მომავალშიც იგეგმება ბევრი ერთობლივი, საინტერესო პროექტის განხორციელება.

2025 წლის 7 აპრილი

ვიზიტი ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში

ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კომისიის წევრებთან ნათია მოდებაძესთან და ანა კაკაბაძესთან ერთად ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკას ვესტუმრეთ.
სამედიცინო დაწესებულების დირექტორმა გიორგი თედორაშვილმა კლინიკაში არსებული გარემო დაგვათვალიერებინა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს არის მორგებული და მოქალაქეები ხარისხიან მომსახურებას იღებენ.
კლინიკის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა ექიმების გუნდზე, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. ასევე, კლინიკაში სტუმრობისას გამართული ჯანდაცვის სისტემის და მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ.
ჯანმრთელობის მსოფლიო დღის წლევანდელი გზავნილია - “ ჯანსაღი დასაწყისი, იმედიანი მომავალი” და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე სიცოცხლის პირველივე დღიდან. უმნიშვნელოვანესია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, რისი წინაპირობაც არის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის მიმართულებით არსებული მუნიციპალური პროგრამები და მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული კლინიკები.

2025 წლის 17 აპრილი

ვიზიტი ავერსის კლინიკაში

კომისიის წევრებთან, ნათია მოდებაძესთან და ანა კაკაბაძესთან ერთად ავერსის კლინიკას ვეწვიეთ.

ვესტუმრეთ ავერსის კლინიკას, დეტალურად გავეცანით კლინიკის მუშაობის პრინციპს, მათ უახლეს სერვისებს , აქ პაციენტის ჯანმრთელობა და კომფორტი მთავარი პრიორიტეტია. ასევე, შეხვედრისას მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობაზე გავამახვილეთ ყურადღება.
კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, დიმიტრი ჯორბენაძემ გვიმასპინძლა და არსებული გარემო დაგვათვალიერებინა

2025 წლის 14 ივნისი

სისხლის დონორის მსოფლიო დღე

სისხლის დონორის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოსა და სისხლის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივით მოეწერა.
ხელმოწერის ცერემონიალი დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გაიმართა.
მემორანდუმის თანახმად, სისხლის ცენტრი დონაციის პროცესის განხორციელებას და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უსაფრთხო სისხლის მარაგის შექმნას უზრუნველყოფს, რომელიც უსასყიდლოდ მოხმარდება იმ ბავშვებს, რომლებიც სისხლსა და სისხლის კომპონენტებს საჭიროებენ.
დღესვე დედაქალაქის საკრებულოში, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივით, სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობა საკრებულოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებმა, რაიონების გამგებლებმა და გამგეობების

თანამშრომლებმა მიიღეს. აქციას სს „საქართველოს კლინიკები“ - ციციშვილის ბავშვთა რეფერალური ჰოსპიტლის დირექტორი გიორგი თედორაშვილი ესწრებოდა.

2025 წლის 10 ივლისი

ვიზიტი დღის ცენტრ "მშობელთა ხიდში“

პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან გიორგი ვოლსკისთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთან ალექსანდრე გრიგალაშვილთან ერთად დღის ცენტრს "მშობელთა ხიდს" ვეწვიეთ. დავესწარით „პარაორკესტრის" მიერ შესრულებულ კონცერტს სახელწოდებით „მუსიკა ქართული ანიმაციური ფილმებიდან".

,,მშობელთა ხიდთან" ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა რამდენიმე წელს ითვლის. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ შშმ ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობაზე, მათ უფლებებზე ზრუნვა პრიორიტეტული საკითხია, რომელზეც მუდმივად ვმუშაობთ და ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა თითოეული ჩვენგანის ვალია,

2025 წლის 1 აგვისტო

სამუშაო შეხვედრა ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო ღონისძიების "VIPP Course" მონაწილეებთან

თბილისის საკრებულოში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძესთან ერთად ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო ღონისძიების "VIPP Course" 15 მონაწილეს შევხვდით. საკრებულოში სტუმრად იმყოფებოდნენ ვენურ და ლიმფურ დაავადებებზე მომუშავე როგორც ქართველი, ასევე იტალიელი, თურქი, პოლონელი, ფრანგი, ერაყელი, ირანელი და უზბეკი ექიმები. სამეცნიერო ღონისძიება "VIPP Course", 2027 წელს მსოფლიო ფლებოლოგთა კავშირის მსოფლიო კონგრესისთვის მოსამზადებელი ეტაპია, რომელიც საქართველოში გაიმართება.

2027 წელს, მსოფლიო ფლებოლოგთა მსოფლიო კონგრესზე საქართველოს 81 ქვეყნის 1500-2000 დელეგატი ეწვევა.

2025 წლის 21 აგვისტო

ვიზიტი გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში

ვეწვიეთ აკადემიკოს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს. სადაც ცენტრის სამედიცინო დირექტორმა ზაზა ლაზარაშვილმა გვიმასპინძლა. რიმელმაც ინფორმაცია მოგვაწოდა კლინიკის განახლებული სერვისების შესახებ და კლინიკა დაგვათვალიერებინა.
ცენტრის საქმიანობის გაცნობის შემდეგ, გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელობასთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სადაც ვისაუბრეთ ჯანდაცვის

აქტუალურ საკითხებზე. რამდენიმე საინტერესო ინიციატივა და წინადადება დაისვა გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის, სკრინინგის პროგრამაში ჩართვის შესახებ.

2025 წლის 1 სექტემბერი

„რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით დედაქალაქის საკრებულოში შეხვედრა გამართა.

შევხვდი რევმატოლოგთა ლიგის პრეზიდენტს ნინო ცისკარიშვილს, რევმატოიდული ართრიტით დაავადებული პაციენტების კავშირის თავმჯდომარეს ინგა მამუჩიშვილს და დედაქალაქის სხვა და სხვა კლინიკებში მოღვაწე ექიმ-რევმატოლოგებს.
შეხვედრაზე მხარეებმა მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ამოქმედებული ქვეპროგრამის მნიშვნელობაზე, ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურებზე და განხორციელების მექანიზმზე ვისაუბრეთ.

უმნიშვნელოვანესი პროგრამა ამოქმედდა დღეიდან, რომელიც ძალიან ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს შეუმსუბუქებს ტკივილს. ერთი ადამიანის ამ პროგრამით უზრუნველყოფა და სერვისის მიწოდება დაახლოებით 25 ათასი ლარით ფინანსდება.
აღნიშნული ქვეპროგრამა მიზნად ისახავს რევმატოიდული ართრიტით დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის უზრუნველყოფას, რაც დაავადების პროგრესირების შესაჩერებლად და პაციენტთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად უკიდურესად მნიშვნელოვანია.
დაფინანსების პირობები შემდეგნაირად განისაზღვრება: სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150,001-ს, უზრუნველყოფილია მედიკამენტების სრული, 100%-იანი დაფინანსება; დანარჩენი ბენეფიციარებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტი მედიკამენტების ღირებულების 80%-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს.

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისის საკრებულოში „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" მობინადრეთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. თავშესაფრის ბენეფიციარებმა დამთვალიერებლებს მათ მიერ არტთერაპიის ფარგლებში შესრულებული ნახატები და ხელნაკეთი ნივთები წარუდგინეს.

ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი

2024 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 11272 ბენეფიციარს, რაზეც 16 101 521 ლარი გამოიყო, შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	დაკმაყოფილებლი მოთხოვნების რაოდენობა	კომისიის გადაწყვეტილება (ლარი)
ინფექციური დაავადებები	43	68,294
სიმსივნეები	3,177	6,419,859
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	708	1,259,518
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	336	175,434
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	158	60,995
ნერვული სისტემის დაავადებები	780	598,834
თვალის, მისი დანამატებისა და ყურის, დვრილისებრი მორჩის დაავადებები	286	214,546
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	1,954	2,596,920
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	184	217,200
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	636	576,553
ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	1,039	1,456,424
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	351	494,185
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	1	3,500

პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	2	1,301
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	130	257,861
განვითარების ეტაპების დაყოვნება	708	561,641
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	131	219,495
ყველა სხვა დაავადება	648	918962
სულ	11,272	16,101,521

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ჩიკვილაძის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმის წარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ვრცელდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა.

წარმომადგენლობა თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული საჭიროებები

მოქალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება;
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება;
- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის მიზნობრივი ფულადი დახმარების საჭიროება;
- ბინის ქირით უზრუნველყოფის საჭიროება;
- უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროება;
- საახალწლო და სააღდგომო ნობათების საჭიროება;
- ბინის დაკანონება/რეგისტრაციის საჭიროება.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა;
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება;
- ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება.

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა;
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

წარმომადგენლობაში ვიზიტზე იმყოფებოდა, ასევე სხვა ონლაინ და საკომუნიკაციო საშუალებებით კონსულტაცია გაეწია 306-მდე მოქალაქეს, შემოსულია 356 წერილი/განცხადება, რომელიც შუამდგომლობით გადაგზავნილია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. კერძოდ,

1. **ოპერაციის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 3;.
2. **გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 4;
3. **მედიკამენტების დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 10;
4. **მიზნობრივი ფულადი დახმარების თაობაზე** შემოსული წერილების - 204;
5. **ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 6;
6. **საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 12;
7. **ბინის დაკანონება/ფართის რეგისტრაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა -6;
8. **უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 1;
9. **სხვა სახის შემოსული წერილების** რაოდენობა შეადგენს - 110.

წარმომადგენლობაში მოქალაქეებთან ვიზიტი

- ოპერაციისის დაფინანსების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 16 მოქალაქე.
- გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 56 მოქალაქე.
- მედიკამენტების დაფინანსების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 41 მოქალაქე.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 35
- მოქალაქე.
- ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 12 მოქალაქე.
- საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 39
- მოქალაქე.
- ბინის/ფართის დაკანონების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 6 მოქალაქე.
- უსახლკაროდ რეგისტრაციის და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე
- წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 19 მოქალაქე.
- დასაქმების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 8 მოქალაქე.
- სააღდგომო ნობათების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 20 მოქალაქე.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 2 მოქალაქე.
- სხვადასხვა საკითხის თაობაზე წარმომადგენლობაში იმყოფებოდა 52 მოქალაქე.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ სამაჟორიტარო ოლქში არსებული ექვსი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

1232 სამედიცინო მომსახურების - მკურნალობის დაფინანსება, რომლიც შეადგენს 351 312 ლარს;

1903 ბენეფიციარის მედიკამენტების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 317 186 ლარს;

2885 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენს 548 296 ლარს;

186 ბენეფიციარის დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლიც შეადგენს 776 641 ლარს;

156 ბენეფიციარს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, რომლიც შეადგენს 54 233 ლარს.

3853 ბენეფიციარზე გაიცა საახალწლო და სააღდგომო ნობათი, რომლიც შეადგენს 434 465 ლარს;

3600 ბენეფიციარზე უფასო სასადილოებით მომსახურება, რომლიც შეადგენს 1 860 480 ლარს;

15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო დახმარება, რომლიც შეადგენს 5 250 ლარს;

2 ომის ვეტერანის დახმარება, რომლიც შეადგენს 2 040 ლარს;

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:
42 ქუჩაზე, 25 058 კვ.მ. ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 2 329 826 ლარს;

25 მისამართზე, საცხოვრებელ ეზოში დაიგო ასფალტის საფარი 3933 კვ.მ-ზე, რომლის ღირებულება შეადგენს 213 842 ლარს;

17 ქუჩაზე, მოეწყო ქვაფენილი, რომლის ღირებულება შეადგენს 172 714 ლარს;

კეთილმოწყობის ღონისძიებები

8 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე და წყალ-კანალიზაცის ქსელის შეკეთება, რომლის ღირებულება შეადგენს 162 856 ლარს;

მოეწყო 12 ახალი საჩრდილობელი, რომლის ღირებულება შეადგენს 99 518 ლარია;

1 მისამართზე 2733 კვ.მ მოეწყო ახალი სკვერი რომლის ღირებულება შეადგენს 47 174.43 ლარს;

39 მისამართზე განხორციელდა არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 330 984 ლარს;

16 მისამართზე განხორციელდა არსებული სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 311 994 ლარს;

12 მისამართზე მოეწყო ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, რომლის ღირებულება შეადგენს 177220 ლარს;

36 მისამართზე მოეწყო გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლები, რომლის ღირებულება შეადგენს 3 715 078 ლარს;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები

საერთო სარგებლობაში არსებული, ქალაქური ტიპის ეზოებსა და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განხორციელებული სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 628 483 ლარს.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1583 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3 მისამართზე ბრტყელი, რომლის ღირებულება შეადგენს 43 416 ლარს;

41 მისამართზე ქანობიანი სახურავი, რომლის ღირებულება შეადგენს 681 221 ლარს;

23 მისამართზე წყალსაწრეტი მილები, რომლის ღირებულება შეადგენს 25 556 ლარს;

20 მისამართზე განხორციელდა წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 563 274 ლარს;

13 მისამართზე 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგარებითი სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 1 433 506 ლარს;

7 მისამართზე განხორციელდა კაპიტალური გამაგრების პროექტების მომზადება, რომლის ღირებულება შეადგენს 64 880 ლარს;

51 მისამართზე საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურული სამუშაოები (კიბეები, ეზოს ჭიშკარი, აივანი, სადარბაზო და თაღი) რომლის ღირებულება შეადგენს 816 627 ლარს;

კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა

ჯამური ღირებულება 97 461 ლარი

1. 2024 წლის 25 დეკემბერი- რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის კულტურული ღონისძიება- საახალწლო ზეიმი. ჯამური თანხა 18 840 ლარი.
2. 2025 წლის მარტი - რაიონში მცხოვრები ქალბატონებისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება "გაზაფხულის დღესასწაულები" - ჯამური თანხა 31 850 ლარი.
3. 2025 წლის ივნისი-საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება . ჯამური თანხა 28 261 ლარი.
4. 2025 წლის სექტემბერი - ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიება. ჯამური თანხა 12 900 ლარი.
5. 2025 წლის ოქტომბერი- მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება. ჯამური თანხა 5610 ლარი.

განხორციელებული აქტივობები

2024 წლის 6 ნოემბერი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, ზ. ქურდიანის ჩიხი N6-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესი მიმდინარეობს.

2025 წლის 13 მარტი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, არაგვისპირელის N24-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები მოვინახულე.
პროექტის ფარგლებში, გამაგრდება შენობის საძირკველი და კედლები, ფანჯრები და კარის ღიობები ლითონის ჩარჩოებში ჩაისვა, შენობის დაზიანებული ელემენტები არმატურით გამყარდა, ბზარები დამუშავდა და სპეციალური მასალით შეივსო, ასევე, მოეწყო სეისმური სარტყელი.

2025 წლის 25 მარტი

დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ილიას ბაღში ღონისძიებას სახელწოდებით „გაზაფხულის დღესასწაულებს" დავესწარი, ღონისძიებაში ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები და სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ქალები მონაწილეობდნენ.

2025 წლის 10 აპრილი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, გოგოლის N1-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდი.
პროექტი საკმაოდ დიდია და მისი ღირებულება ნახევარ მილიონამდე ლარს შეადგენს.

2025 წლის 16 მაისი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან გივი მიქანაძესთან და კომიტეტის წევრებთან: ვლადიმერ ბოჟაძესთან, ვლადიმერ კახაძესთან და ლიკა შარტავასთან, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი ვოლსკისთან და

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე რიმა ბერაძესთან ერთად, ჩუღურეთის რაიონში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დავათვალიერე.

2025 წლის 20 მაისი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართი N1 ბ-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი.

პროექტის ფარგლებში, გამაგრდა შენობის საძირკველი და კედლები, ფანჯრები და კარის ღიობები ლითონის ჩარჩოებში ჩაისვა, შენობის დაზიანებული ელემენტები არმატურით გამყარდა, ბზარები დამუშავდა და სპეციალური მასალით შეივსო, ასევე, მოეწყო სეისმური სარტყელი. პროექტის ღირებულება 283 000 ლარია.

2025 წლის 19 ივნისი

ჩუღურეთის რაიონში, მამარდაშვილის ქუჩის N41-ში გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობა დასრულდა. 6 კვადრატული მეტრის სიმაღლის და 21 კვადრატული მეტრი სიგანის კედელი ფერდობის ჩამოშლის პრევენციის მიზნით მოეწყო.

პროექტს, რომლის ღირებულება 236 000 ლარია, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით კონტრაქტორმა კომპანიამ შეასრულა. სამუშაო პროცესს პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად გავეცანი.

2025 წლის 3 ივლისი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთში კიტა აბაშიძის N7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი. პროექტის ღირებულება 300 000 ლარია.

2025 წლის 18 ივლისი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში, ჯავახიშვილის N102/ კლდიაშვილის N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი.
პროექტის ფარგლებში, გამაგრდა შენობის საძირკველი და კედლები, ფანჯრები და კარის ღიობები ლითონის ჩარჩოებში ჩაისვა, შენობის დაზიანებული ელემენტები არმატურით გამყარდა, ბზარები დამუშავდა და სპეციალური მასალით შეივსო, ასევე, მოეწყო სეისმური სარტყელი. პროექტის ღირებულება 170 000 ლარია.

2025 წლის 4 აგვისტო

დგებუაძის N1 - ის მიმდებარედ გამოუყენებელ ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა იგეგმება. შევთავაზეთ პროექტი, რის საფუძველზეც დაიწყება მშენებლობა და ამ დაპირების შესრულება. პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი, რაც ბევრ სიკეთეს მოუტანს ყველა თაობის ადამიანს.

2025 წლის 21 აგვისტო

ჩუღურეთის რაიონში, უშანგი ჩხეიძის N23-ში, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, წყალარინების ქსელი ეწყობა. პროექტის ღირებულება 30 000 ლარია.
სამუშაო პროცესს პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად გავეცანი.

2025 წლის 26 აგვისტო

ხუდადოვის 173 - ში სკვერის მოწყობის სამუშაოებს გავეცანი.

2025 წლის 2 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში, ზაქარია ქურდიანის ქუჩაზე, 1000 კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო. სამუშაოებს რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად გავეცანი და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდი.

2025 წლის 2 სექტემბერი

თბილისის მერთან კახა კალაძესთან ერთად ფარმაცევტ ნათელა ვაშაკიძეს ვესტუმრეთ და 100 წლის იუბილე პირადად მივულოცეთ. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, ნათელა ვაშაკიძეს 10 000 ლარი ჩაერიცხა.

2025 წლის 4 სექტემბერი

ზაზიაშვილის 13 ნომერში მაცხოვრებლებს დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია კახა კალაძის მიერ დაანონსებულ ისტორიული ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამასთან დაკავშირებით.

2025 წელი 8 სეტემბერი

შეხვედრა ნინო ჩხეიძის ქუჩის მაცხოვრებლებთან.

2025 წლის 12 სექტემბერი

საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, კიდევ 27 ოჯახს დაუკანონდა. თბილისის მერთან ერთად საბურთალოს, გლდანის, ნაძალადევის, სამგორის, კრწანისის, ჩუღურეთისა და ისნის რაიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადავეცით.

2025 წლის 15 სექტემბერი

ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს, მშობლებს და პედაგოგებს მივულოცეთ. ასევე ლამის ქუჩის მოსახლეობას შევხვდი. შეხვედრაზე ვისაუბრეთ უბნის პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე.

2025 წლის 18 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში, მარუაშვილის ქუჩის N50-ის მიმდებარედ ახალი სპორტული მოედანი გაიხსნა. პროექტის ფარგლებში, დაიგო ბალახის ხელოვნური საფარი, დამონტაჟდა ტრიბუნები, ტერიტორია შემოიღობა ლითონის ბადით და აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით. პროექტის ღირებულებამ 505 000 ლარი შეადგინა. რაიონში ყველაზე დიდი საფეხბურთო მოედანი 968 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყო. შესრულებულ სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე გაეცნო.

2025 წლის 23 სექტემბერი

თბილისის განვითარების ფონდმა ჩუღურეთის რაიონში, წინამძღვრიშვილის ქ. N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია დაასრულა. აღნიშნული შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.

რეაბილიტაციის შემდეგ, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ 80-მდე ბინათმესაკუთრეს საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდა, ხოლო თბილისს ტურისტულ მარშრუტზე, კიდევ ერთი აღდგენილი და განახლებული შენობა შეემატა.

2025 წლის 25 სექტემბერი

შეხვედრა აჭარის N10-ის მოსახლეობასთან/ აღნიშნულ მისამართზე ბევრი პროექტი განხორციელდა მოსახლეობის სასიკეთოდ და მომავალშიც გავაგრძელებთ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას.

2025 წლის 26 სექტემბერი

შეხვედრა წინამძღვრიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებთან. ვისაუბრეთ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე. ჩემთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ რიმა ბერაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, თინათინ ნიბლოშვილი და დავით მაქაცარია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და დავესწარი 16 სხდომას. მიღებული იქნა 742 განკარგულება და 103 დადგენილება.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ ჩატარებულ, 13 სხდომას დავესწარი და შევისწავლე 23 საკითხი.

19.11.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

22.11.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

20.12.2024; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

27.01.2025; დღის წესრიგი:

1. ომარ მხეიძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

2. ქეთევან კიკნაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

27.02.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის საჯარო ხელოვნების ფონდის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

21.03.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ .

15.04.2025; დღის წესრიგი:

1. კონსტანტინე ანდრონიკაშვილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

15.05.2025; დღის წესრიგი:

1. ალექსანდრე (ლექსო) თორაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

2. მერაბ დონაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

3. არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

19.06.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

24.07.2025; დღის წესრიგი:

1. ვახტანგ ბალავაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

2. ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულსაზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალურიდაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

18.08.2025; დღის წესრიგი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

2. სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

23.09.2025; დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

09.10.2025; დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

საანგარიშო წლის პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 17 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 30, დავესწარი 15 სხდომას და განვიხილე 28 საკითხი.